



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №23/68

2017 წლის 31 ოქტომბერი
ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ფრაქცია „პატრიოტები უკეთესი მომავლისათვის“ თავმჯდომარის მალხაზ ბუკიას უფლებამოსილების შეჩერების შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის, საგამომიებო დეპარტამენტის საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი გამომძიებელის 2017 წლის 30 ოქტომბრის N8184115-04-02 წერილიდან ირკვევა, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს მალხაზ ბუკიას შეეფარდა პატიმრობა 2017 წლის 24 სექტემბრიდან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 43-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება შეუჩერდება სასამართლოს მიერ მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში. უფლებამოსილების შეჩერების ვადა განისაზღვრება პატიმრობის მოქმედების ვადით

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

ცნობად იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს - ფრაქცია „პატრიოტები უკეთესი მომავლისათვის“ თავმჯდომარეს მალხაზ ბუკიას შეუჩერდა უფლებამოსილება 2017 წლის 24 სექტემბრიდან, პატიმრობის მოქმედების ვადით.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.